ხელშეკრულება
შესყიდვის შესახებ №08.2-2

ანაკლია *2 აგვისტო 2013 წელი*

ერთის მხრივ, *შ.პ.ს "სასტუმრო ანაკლია"* (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, შ.პ.ს "სასტუმრო ანაკლია"-ს დირექტორი იოსებ თოდუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი ზუგდიდის სერვის ცენტრის მენეჯერის დავით ფოცხვერიას სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ," „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შ.პ.ს "სასტუმრო ანაკლია"-ს საკუთარი სახსრებით, „შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლისაგან" მიიღოს მომსახურება ასენიზაციის მანქანით,მოდელი ISUZU სახ.ნომერით ZKZ-335 (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი") ,(CPV-90513000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთი მომსახურების ღირებულება (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით) განისაზღვროს 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი.
3.2 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 „შესყიდვის ობიექტის" მიწოდება „მიმწოდებლის" მიერ განხორციელდება 2013 წლის 2 აგვისტოს.
4.2 „შესყიდვის ობიექტის" მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისთვის" (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).
4.3 მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების დასრულებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში შეადგენენ მიღება ჩაბარების აქტს, რომელშიც აისახება ფაქტიურად მომსახურეობის რაოდენობა შესაბამისი ანაზღაურების მითითებით. აღნიშნული აქტი მიიჩნევა მომსახურეობის მიღება ჩაბარებად.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი" განახორციელებს მიღება ჩაბარების აქტის შედგენიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 *<u>„შემსყიდველი" ვალდებულია:</u>*

6.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული „შესყიდვის ობიექტის" შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის" წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

6.2 *<u>„შემსყიდველი" უფლებამოსილია:</u>*

6.2.1 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს ნივთობრივად უნაკლო „შესყიდვის ობიექტის," ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;
6.2.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
6.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ გადაცემული „შესყიდვის ობიექტის" ხარისხის შემოწმება;
6.2.4 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს „შესყიდვის ობიექტის" გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის დოკუმენტაციის გაფორმება.

6.3 *„მიმწოდებელი“ ვალდებულია:*

6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს ნივთობრივად უნაკლო „შესყიდვის ობიექტი;“

6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს „შესყიდვის ობიექტთან“ დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

6.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი „შესყიდვის ობიექტის“ მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

6.3.4 „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ მიწოდებული „შესყიდვის ობიექტის“ შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

6.3.5 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4 *მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

6.4.1 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლებების გადაცემა

7.1 „მიმწიდებელს“ არა აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის თანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებამდე.

11.2 ხელიშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა

წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

14.2 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული „შესყიდვის ობიექტის“ ხარისხის, რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

14.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშემშლელი პირობები და წარუდგინოს „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

15. დასკვნითი დებულებანი

15.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.

15.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

15.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

15.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

15.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს "სასტუმრო ანაკლია"	შპს "საქართველოს გაერთიანებული
ს/კ 419982674	წყალმომარაგების კომპანია“ ზუგდიდის
მისამართი: ქ. ზუგდიდი, სოფ. ანაკლია	სერვის ცენტრი
ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი	ს/კ 412670097
ბანკის კოდი: BAGAGE22	მისამართი: ქ.თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას
ანგ. №GE15BG0000000260928600	ქ.№5
	ბანკი: ლიბერთი ბანკი
	ბანკის კოდი 220101480
	ანგ. № GE77LB0113123325230012
შპს "სასტუმრო ანაკლია"	შპს „საქართველოს გაერთიანებული
დირექტორი ი. თოდუა	წყალმომარაგების კომპანია“
	მენეჯერი დ.ფოცხვერია

მიღება – ჩაბარების

აქტი

ქ.ზუგდიდი 02 აგვისტო 2013წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნმა, ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", წარმოდგენილი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფილიალის ზუგდიდის სერვის ცენტრის მენეჯერის დავით ფოცხვერიას სახით (შემდგომში „შემსრულებელი") და მეორეს მხრივ, შპს "სასტუმრო ანაკლიის" დირექტორმა იოსებ თოდუამ (შემდგომში „შემსყიდველი") შეადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ:

„შემსრულებელმა" ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" ჩაიბარა ამა წლის 02 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად გათვალისწინებული სამუშაო, კერძოდ:

№	დასახელება	ერთეულის საზომი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
	ასენიზაციის მანქანა ISUZU NPR 85H სახ. ნომერით zkz-335				
1	გაქირავება (ქალაქგარეთ)	დღე	1	250	250.00
	სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)				250.00 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი

ჩააბარა: დავით ფოცხვერია

ჩაიბარა: იოსებ თოდუა